

"ვამტკიცებ"

ბათუმის ა(ა)იპ "საჭადრაკო კლუბი ნონა"-ს  
დირექტორი გიორგი ჭანტურია

25 იანვარი, 2021 წ.

ქ. ბათუმის ა(ა)იპ "საჭადრაკო კლუბი ნონა"-ს ონლაინ ტურნირების წლიური სერია  
ყოველკვირეული ღია პირველობები სწრაფ ჭადრაკში (Rapid)

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

- ორგანიზატორები:** ბათუმის საჭადრაკო კლუბი ნონა; ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
- მიზანი და ამოცანები:** ჭადრაკის შემდგომი პოპულარიზაცია; მსოფლიო პანდემიის გამო შეწყვეტილი სატურნირო აქტივობების ონლაინ სივრცეში გადატანა.
- ჩატარების ვადები და ადგილი:** ყოველ შაბათ დღეს 15:00 სთ-ზე (აგვისტოს თვის გარდა) საჭადრაკო პლატფორმა: [www.chess.com](http://www.chess.com) ან [www.tornelo.com](http://www.tornelo.com)
- სისტემა და კვალიფიკაცია:** ტურნირები ტარდება ონლაინ რეჟიმში, ფიდეს წესებით, შვეიცარული სისტემით 9 ტურად.  
(შენიშვნა: ტურების რაოდენობა შესაძლოა დაკორექტირდეს მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით)
- მონაწილეები:** ყველა მსურველი.
- დროის კონტროლი:** თითოეულ მონაწილეს მიეცემა ფიქსირებული 10 წუთი პარტიის ბოლომდე, ყოველ სვლაზე 5 წამის დამატებით.
- ტურნირების განრიგი:**

თვე	რიცხვი					დრო
თებერვალი	06	13	20	27		15:00
მარტი	06	13	20	27		15:00
აპრილი	03	10	17	24		15:00
მაისი	01	08	15	22	29	15:00
ივნისი	05	12	19	26		15:00
ივლისი	03	10	17	24	31	15:00
სექტემბერი	04	11	18	25		15:00
ოქტომბერი	02	09	16	23	30	15:00
ნოემბერი	06	13	20	27		15:00
დეკემბერი	04	11	18	25		15:00

## 8. ტურნირში მონაწილეობის მისაღებად მოთამაშეობა:

- რეგისტრაცია უნდა გაიარონ საკუთარი სახელით და გვარით,

საჭადრაკო პლატფორმაზე [www.chess.com](http://www.chess.com) ან საჭადრაკო პლატფორმაზე [www.tornelo.com](http://www.tornelo.com)

- ❖ თითოეული ტურნირის წინ კლუბის ოფიციალურ საიტზე : <http://chessbatumi.ge/> დაიდება ინფორმაცია და სატურნირო ლინკი.

დაწვრილებითი ინსტრუქცია იხილეთ დებულების დანართში.

## 9. გამარჯვებულები:

9.1 I, II, III ადგილზე გასული მოჭადრაკეები (ჭაბუკები და გოგონები) დაჯილდოვდებიან ონლაინ მედლებით და სიგელებით.

9.2. მოიპოვე დაგროვებითი ჯილდო:

ჭაბუკი და გოგონა, რომელიც ტურნირების სერიაში 5-ჯერ დაიკავებს

I ადგილს, დაჯილდოვდება თასით, ოქროს მედლით და სიგელით.

II ადგილს, დაჯილდოვდება ვერცხლის მედლით და სიგელით.

III ადგილს, დაჯილდოვდება ბრინჯაოს მედლით და სიგელით.

9.3 შეაგროვე შენი საჭადრაკო კომპლექტი:

ჭაბუკი და გოგონა, რომელიც ტურნირების სერიაში დაიკავებს

I, II ან III საპრიზო ადგილს მოიპოვებს რომელიმე ერთ საჭადრაკო ფიგურას.

მინიმუმ 32 ტურნირში საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში მოჭადრაკეს საჩუქრად გადაეცემა სრული საჭადრაკო კომპლექტი.

10. ორი ან რამოდენიმე მონაწილის მიერ თანაბარი რაოდენობის ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება კოეფიციენტით და პრიზები არ გაიყოფა.

11. მონაწილეებზე განხორციელდება მონიტორინგი პროგრამა Zoom-ის მეშვეობით, ხოლო პარტიებზე დაკვირვება chess.com – ის ან tornelo.com -ის "ანტიჩითინგის" სისტემით.

Zoom-ის გადმოტვირთვა <https://zoom.us/download> ან/და რეგისტრაცია <https://zoom.us>

12. Zoom ოთახი გაიხსნება ტურნირის დაწყებამდე 30 წთ-ით ადრე.

ტურის დაწყებამდე 15 წთ-ით ადრე Zoom ოთახში ყოფნა აუცილებელია.

Zoom ოთახში შესასვლელად გამოიყენეთ შემდეგი ლინკი:

<https://us02web.zoom.us/j/8291583857?pwd=bGlqdUlzWlZibnIJdmJnc2VOMUVCZz09>

13. ტურნირის დროს თითოეული მოთამაშე ვალდებულია:

- ესწრებოდეს Zoom-ს
- ჩართოს კამერა
- ჩართოს აუდიო ხმა  
(შენიშვნა: შემაწუხებელი ხმაურის შემთხვევაში მოთამაშეს შეუძლია დაუწიოს დინამიკის ხმას)
- მსაჯის მოთხოვნის შემთხვევაში, მოახდინოს ეკრანის დემონსტრირება (“Share Screen”).
- დაიცვან ინტერნეტ ონლაინ სივრცის/პლატფორმის [www.chess.com](http://www.chess.com) -ისა და [www.tornelo.com](http://www.tornelo.com) -ის წესები და პრინციპები.

14. თუ აღმოჩნდება, რომ თამაშის დროს მოჭადრაკემ გამოიყენა ნებისმიერი სახის ელექტრონული მოწყობილობა, ან სხვა პირის დახმარება, იგი მიიღებს დისკვალიფიკაციას, დაიბლოკება პორტალ chess.com და tornelo.com-ზე, აგრეთვე საპრიზო ადგილზე გასვლის შემთხვევაში ვერ მიიღებს ჯილდოს.

ტურნირის დირექტორი: IO, IA გიორგი ჭანტურია  
მთავარი მსაჯი: IA, WFM, FI მარიკა ჯაფარიძე  
მსაჯი: FA ნინო კეკელიძე